

შპს ქართული ღვინის კოოპერაცია

**კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
4. ფული და ფულის ექვივალენტები	12
5. სავაჭრო მოთხოვნები	12
6. სასაქონლო მატერიალური მარაგები	12
7. ძირითადი საშუალებები	13
8. სავაჭრო ვალდებულებები	14
9. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი	14
10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14
11. ხელფასები და სხვა სარგებელი	15
12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	15
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით


	შენიშვნა	31-12-22	31-12-21	31-12-20
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	791,366	858,794	371,556
სავაჭრო მოთხოვნები	5	452,586	244,518	272,549
სასაქონლო მატერიალური მარაგი	6	1,956,424	1,588,553	815,888
სხვა მიმდინარე აქტივები		19,643	34,380	8,350
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,220,019	2,726,245	1,468,343
გრძელევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	1,169,275	754,388	455,270
სულ გრძელევადიანი აქტივები		1,169,275	754,388	455,270
სულ აქტივები		4,389,294	3,480,633	1,923,613
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	3,522,010	2,921,206	1,755,163
საგადასახადო ვალდებულებები		33,721	62,544	26,096
გადასახდელი ხელფასები		107,031	31,027	12,627
სასესხო ვალდებულებები		-	24,945	79,535
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		16,844	16,014	15,648
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,679,606	3,055,736	1,889,069
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		122,000	122,000	122,000
გაუნაწილებელი მოგება		587,886	302,897	(87,456)
სავალუტო რეზერვები		(198)	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		709,688	424,897	34,544
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,389,294	3,480,633	1,923,613

დირექტორი ----- ირაკლი ჩხაიძე

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-22	31-12-21	31-12-20
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	791,366	858,794	371,556
სავაჭრო მოთხოვნები	5	452,586	244,518	272,549
სასაქონლო მატერიალური მარაგი	6	1,956,424	1,588,553	815,888
სხვა მიმდინარე აქტივები		19,643	34,380	8,350
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,220,019	2,726,245	1,468,343
გრძელევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	1,169,275	754,388	455,270
სულ გრძელევადიანი აქტივები		1,169,275	754,388	455,270
სულ აქტივები		4,389,294	3,480,633	1,923,613
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	3,522,010	2,921,206	1,755,163
საგადასახადო ვალდებულებები		33,721	62,544	26,096
გადასახდელი ხელფასები		107,031	31,027	12,627
სასესხო ვალდებულებები		-	24,945	79,535
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		16,844	16,014	15,648
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,679,606	3,055,736	1,889,069
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		122,000	122,000	122,000
გაუნაწილებელი მოგება		587,886	302,897	(87,456)
სავალუტო რეზერვები		(198)	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		709,688	424,897	34,544
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,389,294	3,480,633	1,923,613

დირექტორი



ირაკლი ჩხაიძე

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	10,077,844	6,243,014
თვითღირებულების ხარჯი	9	(7,133,535)	(4,396,518)
საერთო მოგება		2,944,309	1,846,496
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(1,141,815)	(727,394)
ხელფასები და სხვა სარგებელი	11	(1,379,344)	(754,847)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	7	(136,961)	(121,373)
სხვა შემოსავლები		58,402	169,664
სხვა ხარჯები		(56,910)	(13,057)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		287,681	399,489
საპროცენტო შემოსავალი		1,524	20
საპროცენტო ხარჯი		(650)	(7,219)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან		(3,566)	(1,937)
მოგება დაბეგრამდე		284,989	390,353
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		284,989	390,353

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(აკუმულირებული ზარალი)	სავალუტო რეზერვები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარი	122,000	(87,456)	-	34,544
წმინდა მოგება	-	390,353	-	390,353
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	122,000	302,897	-	424,897
წმინდა მოგება	-	284,989	-	284,989
სავალუტო რეზერვების ცვლილება	-	-	(198)	(198)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	122,000	587,886	(198)	709,688

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ქართული ღვინის კოოპერაცია დაფუძნდა 2015 წლის 18 სექტემბერს. კომპანიის მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, გ. შავგულიძის ქუჩა #7, ბინა #57. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405117369.

კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენენ ირაკლი ჩხაიძე (პ/ნ: 11001005127) 40%, ლევან ზუროშვილი (პ/ნ: 01027017013) 10%, გიორგი კვირიკაძე (პ/ნ: 01008013283) 30% და შპს 8000 მოსავალი სინერჯი (ს/კ: 404597628).

კომპანიის დირექტორს წარმოადგენს ირაკლი ჩხაიძე.

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ალკოჰოლური სასმელებით და სარესტორნო მომსახურება.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2022 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ფინანსური უწყისები, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	შენიშვნა	31-12-21	31-12-20 (გადაანგარიშებული)	31-12-19 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	858,794	371,556	172,213
სავაჭრო მოთხოვნები	5	323,669	275,580	228,176
მარაგები	6	1,769,426	987,215	877,116
სხვა მიმდინარე აქტივები		35,125	14,652	28,744
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,987,014	1,649,003	1,306,249
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	729,782	428,747	444,589
არამატერიალური აქტივები		10,244	14,921	18,073
სულ გრძელვადიანი აქტივები		740,026	443,668	462,662
მთლიანი აქტივები		3,727,040	2,092,671	1,768,911
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	2,913,663	1,748,169	1,345,896
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		29,081	9,185	24,080
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		84,447	40,993	36,904
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,027,191	1,798,347	1,406,880
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	9	24,945	79,535	99,313
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		24,945	79,535	99,313
მთლიანი ვალდებულებები		3,052,136	1,877,882	1,506,193
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	122,000	122,000	122,000
გაუნაწილებელი მოგება		552,904	92,789	140,718
სულ საკუთარი კაპიტალი		674,904	214,789	262,718
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		3,727,040	2,092,671	1,768,911

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	შენიშვნა	31-12-21	31-12-20 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	6,312,219	3,496,454
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11	(4,076,345)	(2,297,290)
საერთო მოგება		2,235,874	1,199,164
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(1,037,781)	(659,448)
ხელფასები და სხვა სარგებელი	13	(756,794)	(527,046)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(126,052)	(84,979)
სხვა შემოსავლები		169,754	66,258
სხვა ხარჯები		(15,778)	(10,086)
მოგება პროცენტებამდე და საკუროს სხვაობამდე		469,223	(16,137)
საპროცენტო შემოსავალი		21	-
საპროცენტო ხარჯი		(7,219)	(15,221)
ზარალი საკუროს სხვაობიდან		(1,910)	(16,571)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		460,115	(47,929)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		460,115	(47,929)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(აკუმულირე ბული ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)		122,000	140,718	262,718
წმინდა ზარალი		-	(47,929)	(47,929)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	10	122,000	92,789	214,789
წმინდა მოგება		-	460,115	460,115
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	10	122,000	552,904	674,904

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

თარიღი	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
ოფისის აღჭურვილობა	5
მანქანა-დანადგარები	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სხვა ძირითადი საშუალებები	3-10

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. კომპანიის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

კომპანიას არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი. შესაბამისად, არ ხდება ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებაზე გადაფასება.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

3.3 ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ გარიგების ხარჯების (მათ შორის სესხის გაცემის საკომისიო) წრფივი ამორტიზაციის მეთოდი არ იძლევა მატერიალურ სხვაობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდთან, ასეთ შემთხვევაში ხდება ამ ხარჯების წრფივი ამორტიზაცია და საპროცენტო ხარჯში აღიარება დროის გასვლის პროპორციულად. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

3.4 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.5 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება

იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

3.8 კონსოლიდაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს გერმანიაში დაფუძნებული კომპანია 8000 vintages Germany HmbH-ის ფინანსურ ანგარიშგებასაც, რომელიც წარმოადგენს შპს ქართული ღვინის კოოპერაციის 100% საკუთრებაში არსებულ შვილობილ კომპანიას. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

შვილობილი კომპანიის, 8000 vintages Germany HmbH-ის ფუნქციონალური ვალუტაა ევრო. მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლების სავალუტო თარგმნა ქართულ ლარში ხდება ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული კურსით, ხოლო მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების სავალუტო თარგმნა ქართულ ლარში ხდება ანგარიშგების პერიოდის განმავლობაში არსებული საშუალო კურსით. სხვაობა აღიარდება „სავალუტო რეზერვებში“.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფულის ძირითადი ნაწილი განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე, ხოლო ფულადი სახსრების ნაწილს ინახავს სალაროში.

2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-22	31-12-21
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	751,890	837,941
ფულადი სახსრები სალაროში	39,476	20,853
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	791,366	858,794

5. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები უკავშირდება ძირითადად პროდუქციის საცალო მიწოდებას და მომსახურების გაწევას, ასევე მოთხოვნებს პროდუქციის საკურიერო გზით მიწოდებიდან.

2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-22	31-12-21
მოთხოვნები საცალო მიწოდებიდან და მომსახურებიდან	314,532	166,185
მოთხოვნები საკურიერო მიწოდებიდან	138,054	78,333
სულ სავაჭრო მოთხოვნები	452,586	244,518

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები დაყოფილია საქონლად და სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგებად.

მათი ნაშთები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-12-22	31-12-21
საქონელი	1,733,255	1,441,209
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	223,169	147,344
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	1,956,424	1,588,553

7. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებზე 2022 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	479,290	377,585	856,875
მანქანა-დანადგარები	19,674	20,993	40,667
ოფისის აღჭურვილობა	108,797	49,157	157,954
ავეჯი და სხვა ინვენტარი	365,222	28,884	394,106
სხვა ძირითადი საშუალებები	79,549	75,229	154,778
სულ	1,052,532	551,848	1,604,380
დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ცვეთა	98,894	62,725	161,619
მანქანა-დანადგარების ცვეთა	1,275	3,875	5,150
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	37,810	15,279	53,089
ავეჯი და სხვა ინვენტარის ცვეთა	121,509	46,389	167,898
სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა	38,656	8,693	47,349
სულ	298,144	136,961	435,105

ძირითად საშუალებებზე 2021 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	199,214	280,076	479,290
მანქანა-დანადგარები	3,072	16,602	19,674
ოფისის აღჭურვილობა	89,376	19,421	108,797
ავეჯი და სხვა ინვენტარი	272,395	92,827	365,222
სხვა ძირითადი საშუალებები	67,984	11,565	79,549
სულ	632,041	420,491	1,052,532
დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ცვეთა	44,526	54,368	98,894
მანქანა-დანადგარების ცვეთა	604	671	1,275
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	25,609	12,201	37,810
ავეჯი და სხვა ინვენტარის ცვეთა	78,305	43,204	121,509
სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა	27,727	10,929	38,656
სულ	176,771	121,373	298,144

8. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები ძირითადად წარმოშობილია მეღვინეებთან წარმოქმნილი ვალდებულებებისაგან.

მათი ბალანსები 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-22	31-12-21
სავაჭრო ვალდებულებები მეღვინეებიდან	2,898,753	2,585,247
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	623,257	335,959
სულ სავაჭრო ვალდებულებები	3,522,010	2,921,206

9. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ალკოჰოლური სასმელებით და სარესტორნო მომსახურება.

დარიცხული შემოსავალი და მიწოდებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	2022	2021
შემოსავალი	10,077,844	6,243,014
შემოსავლები სამშენებლო მომსახურების გაწევიდან	10,079,754	6,253,422
გაყიდული საქონელი დაბრუნება და ფასდათმობა	(1,910)	(10,408)
თვითღირებულების ხარჯი	(7,133,535)	(4,396,518)
საერთო მოგება	2,944,309	1,846,496

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
იჯარის ხარჯი	463,676	334,795
საოფისე ინვენტარის ხარჯი	197,666	135,285
საბანკო მომსახურების ხარჯი	118,371	72,050
კომუნალური ხარჯი	101,846	58,533
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯი	10,018	-

წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	63,138	12,942
რემონტისა და შენახვის ხარჯი	33,311	7,881
მარკეტინგის ხარჯი	19,453	22,623
საკანცელარიო ხარჯი	8,862	4,246
საწვავის ხარჯი	8,006	6,883
დაზღვევის ხარჯი	7,136	4,934
საკომუნიკაციო ხარჯები	6,497	7,413
სხვა გადასახადების ხარჯი	1,788	1,395
კომპიუტერის ხარჯები	1,036	1,475
თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ხარჯები	593	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	100,418	56,939
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,141,815	727,394

11. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2022	2021
დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი	143,051	88,417
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	1,236,293	666,430
სულ ხელფასები და სხვა სარგებელი	1,379,344	754,847

12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2022 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 143,051 ლარი, ხოლო 2021 წლის განმავლობაში 88,417 ლარი.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.